სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №185

ქ. ბათუმი 9 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მამუკა თურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „კობა გაბაიძის" (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.

2.2. *კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (SPV კოდი: 50312000) კერძოდ:*

№	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი თანხა
1	კარტრიჯის ტონერით შევსება	50312000	1 ცალი	15 ლარი	15 ლარი
ჯამი					15 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომსახურების მიწოდება ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:
- მიწოდებული მომსახურების დასახელება;
- მიწოდებული მომსახურების ღირებულება;
- მიწოდებული მომსახურების მოცულობა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს – ტატიანა კაკავკაი, სპეციალისტი (სასაწყობე მეურნეობის საკითხებში).

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა.

6.1. მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი.

6.2. მომსახურების მიწოდება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს საჭიროებისამებრ შესაბამისი კომსულტაციების გაწევა მიმწოდებლისათვის მომსახურების მიწოდების პროცესში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებულის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს მომასხურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.2, და 6.2 პუნქტებში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფი.

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პიგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულებია გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე ულებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშე-თანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ზალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორ მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინალმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ "აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო"	ი.მ. „კობა გაბაიძე"
მისამართი: ბათუმი, პუშკინის №145	მისამართი: ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. კაპრეშუმი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245632383	საიდენტიფიკაციო კოდი: 61002002214
ბანკი: სს „ ლიბერთი ბანკი"	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
კოდი LBRTGE22	კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE 88LB0121162303587000	ანგარიშის № GE89BG0000000121369100
სააგენტოს უფროსი:	ინდივიდუალური საწარმო
მამუკა თურმანიძე	კობა გაბაიძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი